
**GEORGIAN WOMEN'S CLOTHING ACCORDING TO THE ALBUM
OF CRISTOFORO DE CASTELLI – ARTIST'S FANTASY OR REALITY**

ქართველი ქალის სამოსი ქრისტოფორო დე კასტელის
ალბომიდან – მხატვრის ფანტაზია თუ რეალობა

Irina Ugrekhelidze

PhD degree, N. Berdzenishvili Kutaisi State Historical Museum,
Curator of the Embroidery and Textile Fund, Associate Professor Akaki Tsereteli
State University
ORCID: 0000-0001-7982-9927
iugrekhelidze@mail.ru

Nona Kartsidze

PhD in History, N. Berdzenishvili Kutaisi State Historical Museum
Assistant Professor Akaki Tsereteli State University
ORCID: 0000-0002-6148-4753
n.kartsidze@gmail.com

Abstract

The lack of material monuments of Georgian clothing prior to the XVIII century poses a significant challenge to presenting a comprehensive picture of Georgian costume history and comprehending the process of its development. Foreign sources from various epochs contain useful information for resolving this issue. Among them are the works of Don Cristoforo de Castelli, an Italian Theatine missionary and pastor, who worked in our country in the XVII century. The goal of the present research is to determine if the seventeenth-century Georgian clothing (women's costumes) and headgears depicted in Cristoforo de Castelli's work conform to reality or are merely the artist's fantasy, what shall be done by analyzing the clothing and comparing to the relevant Georgian and foreign pictorial sources.

The research is based on approved art history methods. An in-depth examination of Castelli's sketches and paintings reveals that the majority of the clothes depicted in the album have a counterpart in Georgian painting (monumental and miniature) and written monuments. Only few of them seem to be distinct, and their use is not confirmed by Georgian sources. In this regard, we should particularly note the entire gallery of headgears depicted in the albums, the majority of which are completely alien to Georgian tradition and have analogues only in portraits of Muslim queens - that is explained by the influence of the Court etiquette and fashion of the eastern super-states. The research confirmed that the various clothing and headgear depicted in Castelli's album are not a figment of the artist's imagination, but documentary material created over time by an eyewitness-observer, and they reflect, like a mirror, the reality in which the author himself was

an accomplice. As a result, his work is still relevant today and is one of the most reliable and important sources for the history and establishment of the process of evolution of Georgian costume.

Key words: Castelli's album; clothes; headgears; XVII century; Georgian monumental and miniature painting.

ირინა უგრეხელიძე

დოქტორი, ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის

ნაქარგობისა და ქსოვილების ფონდის კურატორი, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ORCID: 0000-0001-7982-9927

iugrekhelidze@mail.ru

ნონა ქარციძე

ისტორიის დოქტორი, ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ORCID: 0000-0002-6148-4753

n.kartsidze@gmail.com

აბსტრაქტი

ქართული სამოსის XVIII საუკუნეზე ადრინდელი ნივთიერი ძეგლების არარსებობა გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს ქართული კოსტიუმის ისტორიის სრული პანორამული სურათის წარმოჩენისა და მისი განვითარების პროცესის გააზრებისათვის. პრობლემის გადაჭრისათვის ფასეულ ინფორმაციას შეიცავს სხვადასხვა ეპოქის უცხოენოვანი წყაროები. მათ შორის გამორჩეულად მნიშვნელოვანია XVII საუკუნეში ჩვენს ქვეყანაში მოღვაწე იტალიელი კათოლიკე მისიონერის, თეატინელთა ორდენის პატრის დონ ქრისტოფორო დე კასტელის შემოქმედება. წინამდებარე ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს ქრისტოფორო დე კასტელის შემოქმედებაში წარმოდგენილი XVII საუკუნის ქართული სამოსისა (ქალის სამოსის) და თავსაბურავების ანალიზისა და შესაბამის ქართულ და უცხოურ სახვით წყაროებთან შედარების საფუძველზე, დადგენილ იქნას რეალობას შეესაბამება ეს სახეობები თუ მხოლოდ მხატვრის ფანტაზიაა.

კვლევა ეფუძნება ხელოვნების ისტორიისათვის აპრობირებულ მეთოდებს. კასტელის ესკიზებისა და ჩანახატების სიღრმისეული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ალბომში წარმოდგენილი სამოსის სახეობებიდან უმეტესობას პარალელი ეძებნება ქართულ მხატვრობასა (მონუმენტური და მინიატურული ფერწერა) და წერილობით ძეგლებში. მხოლოდ ზოგიერთი მათგანია განსხვავებული, რომელთა გამოყენების შემთხვევები ქართულ წყაროებით არ დასტურდება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია

ალბომში ასახული ქართველი მანდილოსნების თავსაბურავების მთელი გალერეა, რომელთა უმეტესობა სრულიად უცხოა ქართული ტრადიციისათვის და მათი ანალოგები მხოლოდ მუსულმანი დედოფლების პორტრეტულ გამოსახულებებში გვხვდება – რაც აღმოსავლური ზესახელმწიფოების სამეფო კარის ეტიკეტისა და მოდის გავლენით აიხსნება. კვლევამ დაადასტურა, რომ კასტელის ალბომში ასახული სამოსისა და თავსაბურავის ნაირსახეობები, არა მხატვრის ფანტაზიის ნაყოფია, არამედ თვითმხილველი დამკვირვებლის მიერ წლების განმავლობაში შექმნილი დოკუმენტური მასალებია და მათში, როგორც სარკეში, არეკლილია სწორედ ის რეალობა, რომლის თანამონაწილე თავად ავტორი იყო. ამდენად, მის ნაშრომს თანამედროვე ეტაპზეც არ დაუკარგავს აქტუალობა და ერთ-ერთ სანდო და მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ქართული კოსტიუმის ისტორიისა და ევოლუციის პროცესის დადგენისათვის.

საკვანძო სიტყვები: კასტელის ალბომი; სამოსი; თავსაბურავები; XVII საუკუნე; ქართული მონუმენტური და მინიატურული მხატვრობა.

შესავალი

ქართველი ერის სულიერი და მხატვრული მემკვიდრეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლის – ტრადიციული ქართული კოსტიუმის ისტორიის შესწავლისა და განვითარების პროცესის გააზრებისათვის უდავოდ ფასეულ ინფორმაციას შეიცავს სხვადასხვა ეპოქის უცხოენოვანი წყაროები. დასავლური სამყაროსათვის სწორედ ეს წყაროები აყალიბებდა გარკვეულ ცოდნას საქართველოს შესახებ. მათში დაცული ცნობებისა და საილუსტრაციო მასალების ანალიზი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამოსის სახეობების დადგენას, ზეგავლენების გამოვლენასა და ცვლილებების პროცესის გაანალიზებას, მით უფრო, რომ ქართული ისტორიული კოსტიუმის კვლევისათვის არ გაგვაჩნია XVIII საუკუნეზე ადრინდელი ნივთიერი ძეგლები. სამოსის ნიმუშებისა და ვიზუალური მასალის არარსებობა გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს ქართული კოსტიუმის ისტორიის სრული პანორამული სურათის წარმოჩენისათვის. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ უცხოელთა ჩანაწერებს საჭიროა სიფრთხილით მივუდგეთ – ყველა როდია ობიექტურობით გამორჩეული. ეს გასაკვირი არც არის, რადგან გამვლელ მოგზაურს არ შეუძლია სიღრმისეულად ჩაწვდეს ხალხის ამა თუ იმ ტრადიციის არსს და მხოლოდ გარეგნული შთაბეჭდილებით მსჯელობს, რის გამოც მის აღწერილობას ტენდენციურობაც თან სდევს. სანდოობა მაღალია იმ ავტორების მიმართ, რომლებმაც წლების განმავლობაში იცხოვრეს საქართველოში. ასეთებია ჩვენს ქვეყანაში მოღვაწე კათოლიკე მისიონერები, რაც იძლევა შესაძლებლობას, რომ სრულიად თამამად დავეყრდნოთ მათ რელაციებს.

XVII საუკუნის ქართული სამოსის შესწავლისათვის ძალზე მნიშვნელოვანია პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციისგან მოვლენილი იტალიელი მისიონერის, თეატინელთა ორდენის პატრის დონ ქრისტოფორო დე კასტელის, იგივე ტერამო კასტელის (1597-1659) შემოქ-

მედება. წლების განმავლობაში ეს შესანიშნავი, ყოველმხრივ განსწავლული მისიონერი უანგაროდ ეხმარებოდა ქართველ ხალხს – „მრავალი წლის განმავლობაში საქართველო ჩემი სატრფო იყო“ (გიორგაძე, 1976: 187), მისი ამ სიტყვებიდან ჩანს თუ რაოდენ გულწრფელად შეიყვარა საქართველო და როგორი გულისტკივილით განიცდიდა მასთან განშორებას. საქართველოში მოღვაწეობის წლები ქ. კასტელიმ დაწვრილებით აღწერა პროპაგანდა ფიდესადმი წარდგენილ ოფიციალურ დოკუმენტებში – ანგარიშებში, წერილებსა თუ მოხსენებებში და საუკუნოდ აღბეჭდა სურათებსა და ჩანახატებში. ავტორის მიერ შეკრებილი მასალები და ადგილზე შესრულებული ჩანახატები შვიდ სქელტანიან ალბომს შეადგენს და ქ. პალერმოს კომუნალურ წიგნთსაცავშია დაცული, ხოლო მის მიერ წარმოებული ოფიციალური ანგარიშები იტალიის სხვადასხვა ქალაქების (პალერმო, ნეაპოლი, ფლორენცია, რომი) არქივებშია გაბნეული.

დღეისათვის ქრისტოფორო დე კასტელის შემოქმედება საფუძვლიანად არის გაანალიზებული სხვადასხვა მიმართულების მკვლევართა მიერ, მაგრამ სამოსის შესწავლის მიზნით ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად განხილული, მაშინ, როდესაც მისი ჩანაწერები, ნახატები თუ პორტრეტები ამოუწურავ წყაროს წარმოადგენს ამ მიმართულებით. აქ წარმოდგენილი სამოსისა და თავსაბურავების მრავალფეროვნება გაოცებას იწვევს და თავისთავად ბადებს კითხვას – ეს ყველაფერი რეალობაა თუ მხატვრის ფანტაზიის ნაყოფი. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს: ქრისტოფორო დე კასტელის შემოქმედებაში წარმოდგენილი XVII საუკუნის ქართული სამოსისა (ქალის სამოსის) და თავსაბურავების ანალიზისა და შესაბამის ქართულ და უცხოურ სახვით წყაროებთან შედარების საფუძველზე დადგენილ იქნას რეალობას შეესაბამება ეს სახეობები თუ მხოლოდ მხატვრის ფანტაზიაა.

საკითხის ასეთი შესწავლა საშუალებას მოგვცემს სრულყოფილად დავინახოთ XVII საუკუნის ქართული ისტორიული კოსტიუმის განვითარების პანორამა.

სამწუხაროა, რომ ამ თავდადებული მისიონერის ნაშრომი – რელაცია და 7 ალბომსა და მისიონის მოღვაწეობის ანგარიშებში თავმოყრილი ათასამდე სურათი და ჩანახატი, თანდართული კომენტარებითურთ, 200 წელზე მეტი ხნის განმავლობაში უსამართლოდ იყო მივიწყებული თავის სამშობლოში და მარტოდენ მწირი ბიოგრაფიული ცნობებით იყო აღნიშნული მისი საქართველოში მისიონერული მოღვაწეობის შესახებ. იტალიელი მეცნიერების მხრიდან კასტელის მოღვაწეობის მიმართ ინტერესი შესამჩნევად გაიზარდა XX ს-ის 60-90 იან წლებში, მათგან უაღრესად საინტერესოა იტალიელი მეცნიერის პატრიცია ანა ლიჩინის რამდენიმე ნაშრომი. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, მისი შემოქმედებისადმი ინტერესი ევროპულ სამეცნიერო წრეებში ნაკლებად შესამჩნევია და რაიმე მნიშვნელოვანი კვლევა თითქმის არ გამოქვეყნებულა.

კასტელის შემოქმედება საქართველოში თავდაპირველად, მიხეილ თამარაშვილის ნაშრომებითა და ფოტოფირებით გახდა ცნობილი (თამარაშვილი, 1902: 644), (Tamarati, 1910: 202), ხოლო უფრო საფუძვლიანად

მის რელაციონსა და ნახატების ალბომს ქართველი საზოგადოებრიობა ისტორიკოს ბეჟან გიორგაძის კვლევებისა და თარგმანის საშუალებით გაეცნო. კასტელის ზოგიერთი უცნობი წერილი გამოაქვეყნა პროფესორმა ილია ტაბაღუამ. აქედან მოყოლებული მრავალმა ქართველმა მეცნიერმა მიუძღვნა კვლევა მისიონერის საქართველოში მოღვაწეობას, მის ალბომში წარმოდგენილი ცნობილი თუ უცნობი პერსონების გამოვლენას, გარეგნობის აღწერისა და იდენტიფიკაციას. ბოლოდროინდელი პუბლიკაციებიდან ყურადღებას იპყრობს მარიეტა ჩიხლაძის, ზაზა სხირტლაძისა და ზაალ ქორთუას ნაშრომები, რომლებშიც კასტელის შემოქმედების უდავოდ საინტერესო კვლევებია წარმოდგენილი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბოლოდროინდელი სამეცნიერო პუბლიკაციები, რომლებშიც კასტელის შემოქმედება განხილული და გამოყენებულია, როგორც წყარო XVII საუკუნის ქართული ჩაცმულობის შესწავლისათვის. ამ მხრივ საინტერესოა ისტორიკოს ჯ. სამუშიას მიერ ჩატარებული კვლევა – კასტელის ალბომში გამოსახულ მეფეთა ინსიგნიებისა. ავტორს შესწავლილი და დახასიათებული აქვს იმერეთის მეფეთა გვირგვინები, ხოლო 4 მათგანი აღდგენილი აქვს კასტელის ნახატებზე დაყრდნობით (სამუშია, 2009: 152). ასევე საყურადღებოა ენციკლოპედიური ნაშრომები: გ. კალანდიას, ი. საგანელიძისა და ი. ზამბახიძის – „ქსოვილი საქართველოდან“ (კალანდია და სხვები, 2017: 402); და გ. კალანდიას „ქსოვილი საქართველოდან (ქართველთა თავსაბურავი)“ (კალანდია, 2019: 499). დასახელებულ ნაშრომებში სიღრმისეული მეცნიერული ანალიზი გამყარებულია უცხოელ ავტორთა, მათ შორის დე კასტელის ჩანაწერებიდან და ანგარიშებიდან მოყვანილი ციტატებით. ინტერესს მოკლებული არ არის პუბლიკაციები ი. უგრეხელიძის, ნ. ქარციძისა და ე. ჩუბინიძის ავტორობით (უგრეხელიძე და სხვები, 2019: 272), (Ugrekheldize et al., 2020: 118), რომლებშიც სხვა უცხოურ წყაროებთან ერთად, განხილულია ქართველთა ჩაცმულობა კასტელის ალბომიდან და წარმოდგენილია ინფორმაცია კასტელის მემკვიდრეობის შესახებ.

„დონ ქრისტოფორო დე კასტელის ალბომს არაერთგზის მიუბრუნდება ქართული მწერლობა და მეცნიერება. იგი ბევრი საყურადღებო ნაწარმოების წყარო გახდება“ – ასე შეაფასა ქართველმა პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ აკაკი ბაქრაძემ მისიონერის შემოქმედება (საუბარი, 1983: 93). მართლაც, ნაშრომი, როგორც ქვეყანაში მიმდინარე ისტორიული მოვლენებისა და ყოფა-ცხოვრების ამსახველი ნარატიული და ვიზუალური მასალა, დღემდე უდიდეს ინტერესს იწვევს. კასტელის სურათები და ჩანახატები, როგორც დოკუმენტური მნიშვნელობის მქონე საილუსტრაციო მასალა, ჩართულია XVII საუკუნის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებულ ყველა სახის გამოცემაში – ფუნდამენტურ შრომებში, სასკოლო სახელმძღვანელოებსა თუ სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაში. მასალის მნიშვნელობას ზრდის სხვადასხვაენოვანი (უხშირესად თერთმეტენოვანი) განმარტებითი წარწერები, რომლებიც თითოეულ ნახატს უხვად ახლავს. ეს კომენტარები ძალზე ინფორმაციულია XVII საუკუნის საქართველოს სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა ყოფითი რეალიების, მათ შორის განსაკუთრებით ჩაცმულობის შესწავლისათვის.

მეთოდები

კვლევა ძირითადად ეფუძნება ხელოვნების ისტორიისათვის აპრობირებულ მეთოდებს: ისტორიული და ფორმალურ-სტილისტური ანალიზი; ისტორიულ-აღწერითი მეთოდი (საილუსტრაციო მასალების ანალიზისათვის); ისტორიულ-შედარებითი მეთოდი (ისტორიულ პირთა დადგენისათვის და ქართულ ანალოგებთან შედარებისა და პარალელის გავლებისათვის); მხატვრულ-სტილისტური ანალიზის მეთოდი; შედარებით- ანალიზური მეთოდი; ე. წ. „ტრადიციული“ მეთოდი, რომელიც მკვლევარის ინტუიციისა და საკითხის პოზიტიურ ცოდნის სინთეზს წარმოადგენს; პრაქტიკული მეთოდი, დამყარებული მკვლევარის პირად გამოცდილებაზე; სინთეზის მეთოდი – ანალიზის შედეგების დასკვნების ფორმულირებისათვის.

კვლევითი სამუშაოს ნაწილი უკვე გახორციელდა და გამოქვეყნდა ნაშრომში „The Study of Georgian Historical Costumes Based on the 16th-Century Ottoman Material Sources“ (Ugrekheldize et al., 2021: 304). წინამდებარე კვლევა წარმოადგენს ადრე გამოქვეყნებული სტატიის გაგრძელებას.

შედეგები

ქრისტოფორო დე კასტელი იტალიური რენესანსის მხატვრობის იდეებით ნასაზრდოები შემოქმედია. ამ მხატვრობისათვის კი დამახასიათებელია ანტიკური ელემენტების გამოყენება. ამიტომ კასტელის ზოგიერთი პერსონაჟის ჩანახატი და მონახაზი ანტიკურ სტილშია შესრულებული და სამოსიც ძველბერძნულს წააგავს. გამომდინარე ამ ფაქტიდან, იზადება ეჭვი – იქნებ მხატვარი არც კი ასახავდა თავის გარემომცველ რეალობას და პერსონაჟებს ნამდვილად არსებული ჩაცმულობითა და იმ პერიოდისათვის გავრცელებული სამოსითა და აქსესუარებით კი არ ხატავდა, არამედ საკუთარი ფანტაზიითა და წარმოსახული ფორმებით ქმნიდა ესკიზებს. კითხვაზე პასუხის გაცემისთვის კასტელის ალბომში ასახული სამოსი შედარებულ იქნა იმავე პერიოდის ქართული სახვითი ხელოვნების ძეგლებთან (მონუმენტური და მინიატურული მხატვრობის ნიმუშებთან) და წერილობით წყაროებთან.

დე კასტელის ნამუშევრებისა და ჩანაწერების სიღრმისეული შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ის წარმოსახვითი ფანტაზიით მხოლოდ თავისუფალ კომპოზიციებს, რელიგიურ სიუჟეტებსა და ბიბლიურ პერსონაჟებს ქმნიდა. უშუალოდ ნატურიდან კი ხატავდა და წერდა მხოლოდ იმას, რასაც პირადად ნახულობდა და აღბეჭდავდა მხოლოდ უშუალო შთაბეჭდილებებს, რაც თავად მიაჩნდა – რომ ღირსი იყო ყურადღებისა. სწორედ ამაშია ამ თავდადებული და უანგარო მისიონერის – ქრისტოფორო დე კასტელის და მისი ნაშრომის მთავარი ღირსება.

მსჯელობა და დასკვნები

ქრისტოფორო დე კასტელი საქართველოში 26 წლიანი (ზოგი წყაროს მიხედვით 34 წ.) სამისიონერო მოღვაწეობის შემდეგ, სრულიად დასნეულებული დაბრუნდა სამშობლოში. ამ დროს, როგორც თავად

წერს, დიდი განსაცდელი გადახდენია: „რომიდან ჩემს სამშობლო პალერ-
მოში დაბრუნების დროს, ზღვაზე დელვისას, წყალში გადამივარდა ერთი
ტომი, რომელშიაც ყველაზე მშვენიერი სურათები მქონდა დახატული“
(გიორგაძე, 1946: 5). „...ყველა ნაშრომის დაკარგვამ სულისკვეთება წამართვა,
რადგან უკვე გაწამებული და ავადმყოფი მოხუცი ვიყავი, უფრო მკვდარი,
ვიდრე ცოცხალი. იმ მცირე ძალებით, რაც შემომრჩა, აღვადგინე რამდენიმე
ის საგანი, რომელიც უკეთესად მახსოვდა... დროთა განმავლობაში, თუ
ღმერთი ინებებს, სიცოცხლე გამიხანგრძლივოს, უფლის სადიდებლად,
ყველაფერ ამას წესრიგში მოვიყვან“ (ლიჩინი, 2009: 67). ჩვენთვის უცნობია,
სრულად აღადგინა თუ არა მან წლების მანძილზე რუდუნებით შექმნილი
სურათები, ცნობილია, რომ 1657-59 წლებში მან დაწერა ოცდახუთწლიანი
მისიის შემაჯამებელი რელაცია – „მისია მრავალ ურწმუნო ქვეყანაში“,
რომელმაც ავტორის სიცოცხლეში ვერ იხილა დღის სინათლე. პატრიცია ანა
ლიჩინის მიერ 1985 წ. გამოქვეყნებული ეს რელაცია ქართულად თარგმნა,
შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. მურმან პაპაშვილმა (ეძღვნება
ილია ტაბალუას ხსოვნას).

კასტელის ალბომის მრავალფეროვან ჩანახატებში მნიშვნელოვანი
ადგილი უჭირავს ქალთა სახეებს. აქ შეხვდებით როგორც დედოფლებს,
სამეფო ოჯახის წევრებსა და დიდგვაროვან ქალბატონებს, ისე მოახლეებს,
პოეტ ქალს, მხატვარს, ცხენზე ამხედრებულ ამორძალებს თუ მონად
გაყიდულ ახალგაზრდა ქალებს, მომღბენ ქალბატონებსა თუ მშრომელ
გლეხის ქალებს და სხვა მრავალთ. დიდგვაროვანი ქალბატონების სამოსში
ხაზგასმით წარმოჩენილია უხვად დეკორირებული ძვირფასი ქსოვილები
და მრავალფეროვნებით გამორჩეული გრძელი მოსასხამები – ბეწვის
საყელოთი, ბეწვის სარჩულითა და გრძელი სახელოებით.

კასტელის ნახატებზე გამოსახული ჩაცმულობის ანალიზის შედეგად
გამოვლენილი სამოსის სახეობებიდან უმეტესობას პარალელი ემბნება
ქართულ მხატვრობასა და წერილობით ძეგლებში; ხოლო ზოგიერთი,
შეიძლება ითქვას, სრულიად განსხვავებულია და მისი გამოყენების
შემთხვევები ქართულ წყაროებში დაფიქსირებული არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის ქალისა და მამაკაცის სამოსი
თითქმის ერთნაირია (თუკი არ ჩავთვლით სიგრძეს) და ქალის კაბას
ჯერ კიდევ არ აქვს მიღებული ქართული ტრადიციული კაბისათვის
დამახასიათებელი ფორმები, რომელიც ხაზს უსვამს ბუნებრივ მოხდე-
ნილობას, კასტელის თვალს არ გამოჰპარვია ქალის ჩაცმულობის სილაზათე
და აღნიშნავს: „ქალები იცვამენ მოხდენილად. მხრებზე წამოსხმული აქვთ
რომელიმე შალი“.

ქალის სამოსში მკაფიოდ იკვეთება ჩაცმულობის კომპლექსები
და ნათლად ჩანს შემადგენელი ელემენტები: საგულე ახალუხი (ზოგ
შემთხვევაში შიგა პერანგი), კაბა, ზედა სამოსი და თავსაბურავი (სურ.
1, ა, ბ, გ). ზედა სამოსი უმეტესად გახსნილია და კარგად ჩანს შიგა კაბა.
ქალის სამოსის კომპლექსები მრავლად გვხვდება იმავე პერიოდის ქართულ
მონუმენტურ და მინიატურულ მხატვრობაში, მაგალითისათვის გამოვიყოფთ
ქალ-ქტიტორთა პორტრეტულ გამოსახულებებს გელათის (სურ. 1, დ),

სვეტიცხოვლის (სურ. 1, ე), მარტვილის, ბუგეულის, ნიკორწმინდის და სხვა ტაძრების ფრესკული მხატვრობიდან. ქალის ჩაცმულობის ასეთივე კომპლექსები გვხვდება ქართულ ხელნაწერთა მინიატურებშიც (სურ. 1, ვ)

კასტელისეული ქალის კაბებიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი სახეობები:

- კაბა კვართისებური (ტუნისისებური) ფორმის, რომლებიც ერთმანეთისაგან მცირედი ნიუანსებით განსხვავდება: მრგვალი ან სამკუთხა ყელის ნაპირით; სხვადასხვაგვარად დამუშავებული შესაკრავით: წინ კალთის ცენტრალური ხაზი ჩახსნილი წელის დონემდე, ან მცირედ ქვევით. ჩახსნილი შეიძლება იყოს შესაკრავის გარეშე; ერთი ან რამდენიმე საკინძით შეკრული (სურ. 1, ბ, გ; სურ. 2, ა), ასევე, მიჯრით განლაგებული ღილებით შეკრული;
- კაბა სახლართავიანი – გულისპირი, კალთის ნაპირებზე ზონარგაყრილია და საჭიროებისამებრ მოჭიმული (სურ. 2, ბ, გ, დ). სახლართავი კაბას ტანზე მჭიდროდ მორგებულ, გამოყვანილ სილუეტს აძლევდა რაც არ გამოჰპარვია კასტელის: „სამკერდის, ქამრისა და სამკლავების ასეთი შემოჭერილობა ქალს წერწეტს აჩენს“ – წერდა ავტორი.

ჩვეულებრივ, კაბის შიგნით შიგა სამოსი – საგულე-ახალუხი ან პერანგი მოჩანს. კვართისებური კაბები, თავისი განმასხვავებელი ნიუანსებით, მრავლად გვხვდება ქართულ სახვით წყაროებში, როგორც ფრესკულ, ისე მინიატურულ ფერწერაში (სურ. 3).

სახლართავიანი კაბები ქართულ სახვით წყაროებში ჯერჯერობით ვერ მოვიძიეთ.

ქალის ზედა სამოსის სახეობებიდან აღსანიშნავია:

- ქათიბი (სურ. 4, ა);
- მოკლე ზედა მოსაცმელი თავისუფალი სილუეტის, განიერი სახელოებით, გაწყობილი ცხვრის ტყავითა და არშიით (სურ. 4, ბ);
- გარე ქურქი, რომელიც ავტორს საკმაოდ მრავალგვარი სახეობის აქვს წარმოდგენილი. აქ გვხვდება: ქურქი ქათიბისებური, მოკლე (სურ. 4, ა); სურ. 1, ა, ბ; და გრძელი; ბეწვით გაწყობილი ან ბეწვსარჩულიანი (სურ. 1, ბ); სხვადასხვა ფორმის საყელოთი – მაღალი დგარისებური (სურ. 4, გ), გადაფენილი, შალისებური (სურ. 1, ა); სხვადასხვა ტიპის საყელოთი – ბეწვის, და ბეწვის გარეშე; სხვადასხვა სიგრძის სახელოებით – კოჭებამდე (სურ. 4, გ), მუხლამდე სიგრძის (სურ. 4, ა) და ზომიერი (სურ. 1, ა; სურ. 4, ბ).

ამ პერიოდის ქართულ წერილობით წყაროებში ზედა სამოსის – ქათიბისა და ქურქის აღმნიშვნელი მრავალი ტერმინი გვხვდება – „ოქროქსოვილის კურდღლით დაბეწვილი ქათიბები“, „ტყავი დიბისა... სიასამურით დაბეწვილი“, „ტყავი და ტოლომა ბეწულნი“, „ტყავი დიდი სახელ-ვიწრო“ და სხვ., რაც უდავოდ, მისი ფართოდ გამოყენების მანიშნებელია. მსგავსი ზედა სამოსი მრავლად გვხვდება ქართულ მონუმენტურ და მინიატურულ მხატვრობაში (სურ. 1; სურ. 3). აღსანიშნავია ამ სამოსის ერთი განსაკუთრებული თავისებურება: ის დაგრძელებული და



ა



ბ



გ



დ



ე



ვ

სურ. 1. ქალის სამოსის კომპლექსური შემადგენლობა: ა, ბ, გ – კასტელის ალბომიდან (გიორგაძე, 1946: 948); დ, ე - ქართული მონუმენტური მხატვრობიდან (ფოტო ავტორის); ვ – მინიატურული ფერწერიდან (თავაქარაშვილი, 1646: 106r)



სურ. 2. სახლართავიანი კაბის სახეები კასტელის ალბომიდან (გიორგაძე, 1946: 948)



სურ. 3. კაბის სახეები მონუმენტური მხატვრობიდან (ფოტოები ავტორის)

ნახევრად გახსნილი სახელოების წყალობით სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნას გამოყენებული – მოსასხამი მანტიის სახით (სურ. 1, ა-გ; სურ. 4, გ), როდესაც ხელები სახელოებში არ არის გაყრილი; ჩაცმული სამოსის სახით, როცა ხელები ჩაყოფილია სახელოში და გამოყოფილია იდაყვის ნაკერში არსებული ჭრილიდან (სურ. 4, ა).

მაღზე საინტერესოა სამოსის დახასიათება პორტრეტებისა და ჩანახატების მინაწერებში, ასე მაგალითად;

- პოეტი ქალის ვომინიჯა ბერიძის პორტრეტის მინაწერში მის სამოსს ასე ახასიათებს: „სადად აცვია, ყელზე აქვს მარგალიტის ორმაგი მძივი, ფართო მანტიას ირგვლივ ბეწვი გასდევს, ახურავს



ა



ბ



გ

სურ. 4. ზედა სამოსის მრავალსახეობა კასტელის ალბომიდან (გიორგაძე, 1946: 948)

მარგალიტით მორთული თავსაბურავი, წინ ლეჩაქის ორი ტოტი ჩამოუდის“ (სურ. 1, ვ).

- სვანი ქალის ჩანახატთან მიწერილია: „სვანების საპატიო ქალებს ნაწნავი თმები მრავალი ასხმა მარგალიტისა და სხვა დიდი ღირებულების ძვირფასი ქვებით აქვთ მოკაზმული. ტანსაცმელი მორთულია... უმშვენიერესი ოქროს ნამუშევარი მარგალიტითა და ძვირფასი ქვებით. ქვედა კაბები ოქროკემსილია, ასევეა სარტყელიც, რომელიც დიდ სილამაზეს ჰმატებს, როცა ის მცირედ ეშვება ზურგს უკან... ქალებს სახეზე მარგალიტები აქვთ ჩამოშვებული...“ (სურ. 2, გ)
- კასტელის დაბალი ფენის ჩამოშლამდე არ რჩება ყურადღების მიღმა: „ზოგ პროვინციაში, სადაც არ წარმოებს ვაჭრობა, უფრო ღარიბები არიან, მაგალითად, აფხაზებს, სვანებს, ამაზონებისა და



სურ. 5. სამეგრელოს დედოფალი ნესტან-დარეჯან ჭილაძე (ფოტო ავტორის)



სურ. 6. ქართველი ქალის თავსაბურავების მრავალსახეობა კასტელის ალბომიდან (გიორგაძე, 1946: 948)

სხვა ქალებს აცვიათ მამაკაცებივით. ყველაზე მეტი საგანი მათ აქვთ... მატყლი და ცხოველთა ბეწვი (ტყავი)...“, ან კიდევ: „ღარიბი მეგრელები თხის ან ბატკნის ტყავში იმოსებიან“ და ა. შ.

- სამეგრელოს დედოფლის სურათის მინაწერში კი ვკითხულობთ: „ზემთ და ქვემთ უმშვენიერესად ოქროკემსულია, ძვირფასი თვლებით მორთული... გვირგვინი ძალიან ლამაზი მძივებითაა დატვირთული“ (სურ. 4, გ).

მართალია, სამეგრელოს დედოფლის, ლევან დადიანის მეუღლის – ნესტან-დარეჯან ჭილაძის კასტელისეულ ჩანახატში სამოსის მორთულობა მინაწერში მოყვანილ აღწერილობას არ შეესაბამება, მაგრამ მის რეალობას წალენჯიხის ტაძრის მოხატულობასა და ვერცხლის ჭედურ ხატებზე გამოსახული დედოფლის საქტიტორო პორტრეტები ადასტურებს, ერთ-ერთი მათგანია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცულ ღვთისმშობლის ვერცხლის ხატზე არსებული გამოსახულება (სურ. 5). დედოფლის ყველა გამოსახულებას მრავალი საერთო ნიშანი აქვს – გვირგვინი, მოსასხამი გრძელი სახელოებით და კოჭამდე სიგრძის ნაწნავები, რომლებშიც თმისატანი სამკაულები არის ჩართული. ეს უკანასკნელი კარგად ჩანს კასტელის ჩანახატშიც (სურ. 4, გ).

როგორც ვხედავთ, კასტელისეული ქალის სამოსის ანალიზისა და ქართულ წყაროებთან შედარების თანახმად – ავტორის ესკიზებში გამოსახული კოსტიუმი და მისი ესა თუ ის ელემენტი სულაც არ წარმოადგენს მხატვრის ფანტაზიის ნაყოფს, არამედ სრულიად რეალურად არსებული ფორმების ასახვაა.

კასტელის ნახატებში ქალის სამოსთან ერთად არანაკლებ საინტერესოა თავბურვის სხვადასხვა ხერხები და თავსაბურავის სახეობები. ამ მრავალგვარობიდან უმეტესობა სრულიად უცხოა ქართული სახვითი წყაროებისათვის. იმ პერიოდის მამაკაცის თავსაბურავების შესახებ გვაქვს გარკვეული ცნობები წერილობითი ძეგლებიდან და მათი ფორმები ჩვენთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია სახვითი ნიმუშებიდან, მაგრამ ნაკლები ინფორმაცია გვაქვს ქალთა თავსაბურავების შესახებ. მონუმენტურ და მინიატურულ მხატვრობაში ქალების თავბურვა ძირითადად ლეჩაქ-გვირგვინის ან თავსაკრავი ზოლისა და მანდილის სახითაა წარმოდგენილი; ხოლო წერილობით ძეგლებში ლეჩაქისა და მანდილის გარდა დასახელებულია ქუდი, კუბასტი, იალქანი (იელქანი). რთულია ამ უკანასკნელთა გარეგნული ფორმის წარმოსახვა და დადგენა. კასტელის თუ



სურ. 7. მარიამ დადიანი
(გიორგაძე, 1946: 948)



ა



ბ



გ



დ



ე



ვ

სურ. 8. აღმოსავლელი დედოფლები ევროპულ სახვით წყაროებში: ა – (Vecellio, 1590: 371) ბ – (La piu bella e piu favorita donna del gran Turcho dita la Rossa); გ – (Titian, 1560); დ – (Altissimo, 1541); ე – (Theatrum, 1661); ვ – (კალანდია, 2019: 202)

დაფუჯერებთ (როგორც ვხედავთ არ გვაქვს საფუძველი, რომ ეჭვი შევიტანოთ მისი შემოქმედების რეალობაში) XVII საუკუნის ქართველი მანდილოსნების თავბურჯა გასაოცარი მრავალფეროვნებითაა გამორჩეული. მის ნახატებში თავსაბურჯების მთელი გალერეაა წარმოდგენილი – დედოფლებით დაწყებული, მსახური და გლეხი ქალებით დასრულებული. აქ ნახავთ – ბეწვით გაწყობილ, თვალ-მარგალიტითა და ჯილით შემკულ ქუდეებს, შლაპისმაგვარ თავსაბურჯებს, მანდილებს, სხვადასხვაგვარ თავსაკრავ ზოლებს, ყაბალახს, სპარსული ტიპის წოწოლა ქუდეებს (წიწაკა ქუდი) და სხვა მრავალს (სურ. 6).

გამორჩეულად უნდა აღვნიშნოთ ლევან II დადიანის დის, ქართლის დედოფლის – მარიამის (ქართლის მეფის როსტომ ხა-



სურ. 9. ჟან ბერენი I, მედეა - თეატრალური კოსტიუმში ოპერისათვის „თეზევსი“ (Berain, 1707)

ნის მეუღლე) განსხვავებული თავბურვის შესახებ (სურ. 7). ანალოგიური თავსაბურავითაა წარმოდგენილი სასულთნოს დედოფალიც – კასტელის ერთ-ერთ ჩანახატში. ის, ერთი შეხედვით, შუა საუკუნეების გოთური სტილის თავსარქმელსაც წაგავს. ასეთი ელემენტი დამახასიათებელი არ არის ქართული ტრადიციისათვის და არ გვხვდება სხვა სახვით წყაროებში. სამაგიეროდ, მრავლადაა XVI-XVII საუკუნეების ევროპულ წყაროებში (Vecellio, 1590: 371), (Тютелева, 2020: 130), (Theatrum, 1661) – გრავიურებსა და ფერწერულ ტილოებზე, რომლებზეც ოსმალეთის სასულთნოს დედოფლები და სულთნის ფავორიტებია გამოსახული (სურ. 8, ა-ე), რომელთა ავტორებს შორის გენიალურ ტიცინასაც ასახელებენ (სურ. 8, გ).

მსგავსი თავსაბურავითაა გამოსახული ქეთევან დედოფალი („Katharina Georgiae Regina“) ევროპულ გრავიურაზე, რომელიც აღმოსავლელ დედოფალთა გამოსახულებების მიზაძვითაა შექმნილი (სურ. 8, ვ). ეს ფაქტი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს – როგორი იყო აღმოსავლელი დედოფლის ხატება ევროპელი მხატვრების წარმოსახვასა და ფანტაზიებში.

თუ გაიხსენებთ აღმოსავლური ზესახელმწიფოების სამეფო კარის ეტიკეტისა და მოდის გავლენას XVI-XVII საუკუნეების ქართველ დიდგვაროვანთა წეს-ჩვეულებებსა და სამოსზე, დედოფალ მარიამის, როგორც გამაჰმადიანებული როსტომ ხანის მეუღლის, ასეთი თავსაბურავი სულაც არ არის გასაკვირი.

აღსანიშნავია, რომ XVI-XVII საუკუნეების ევროპულ წყაროებში ასეთი თავსაბურავის სტილიზებული ვარიანტები მრავლად გვხვდება ევროპელი მხატვრების მიერ შესრულებულ სამასკარადო სამოსში,

სასცენო კოსტიუმებსა და ალეგორიულ კომპოზიციებში, მაგალითისათვის მოვიყვანთ ჟან ბერენ I-ის მიერ შესრულებულ მედეას კოსტიუმის ესკიზს ოპერისათვის „თეზევსი“ (სურ. 9).

და ეს ყველაფერი როდია, მსგავსი მაგალითების მოტანა დაუსრულებლად შეიძლება, რაც რთულია გადმოიცეს ერთი სტატიის ფარგლებში.

დასკვნა

როგორც ვხედავთ, კასტელის ალბომის ვიზუალური მასალები, მასში წარმოდგენილი სამოსისა და თავსაბურავის ნაირსახეობები, არა მხატვრის ფანტაზიის ნაყოფია, არამედ თვითმხილველი დამკვირვებლის მიერ წლების განმავლობაში შექმნილი დოკუმენტური მასალებია, სინამდვილის ფოტოგრაფიული ასახვაა და მათში, როგორც სარკეში, არეკლილია სწორედ ის რეალობა, რომლის მომსწრე და თანამონაწილე თავად ავტორი იყო. მის ნაშრომს თანამედროვე ეტაპზეც არ დაუკარგავს აქტუალობა – აქ წარმოდგენილი ესკიზებისა და ჩანახატების მიხედვით შესაძლებელია თვალნათლივ წარმოვაჩინოთ XVIII საუკუნის ქართული ჩაცმულობის კომპლექსები და ცალკეული, მათ შორის აქამდე უცნობი ელემენტები, მათი ფორმა, სილუეტი და დეკორირება. აღნიშნული სამუალებას იძლევა – დავასკვნათ, რომ ქრისტოფორო დე კასტელის ალბომის მასალები, XVIII საუკუნის ქართული ჩაცმულობის შესახებ, დღეისთვისაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, სრულყოფილი და სანდო წყარო იქნება ქართული კოსტიუმის ისტორიისა და ევოლუციის პროცესის დადგენისათვის.

აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქრისტოფორო დე კასტელიმ, როგორც სწავლულმა მემატიაანემ – თავის პრაქტიკული მოღვაწეობით დიდი სამსახური გაუწია, როგორც, საზოგადოდ, ქართულ ისტორიულ მეცნიერებას, ისე ქართული კოსტიუმის ისტორიას.

მადლიერება:

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტი № YS-19-806], რისთვისაც მადლობას ვუხდით ფონდს.

გამოყენებული ლიტერატურა:

giorgadze, b. (1946). *don k'rist'oporo de k'ast'eli, tsnobebi da albomi sakartvelos shesakheb*. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“. (გიორგაძე, ბ. (1946). *დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“).

tamarashvili, m. (1902). *ist'oria k'atolik'obisa kartvelta shoris. t'pilis: gamomtsemloba „amkhanagoba“*. (თამარაშვილი, მ. (1902). *ისტორია კათოლიკობის ქართველთა შორის*. ტფილისი: გამომცემლობა ამხანაგობა).

k'alandia, g., saganlidze, i., zambakhidze i. (2017). *ksovili sakartvelodan*. tbilisi: gamomtsemloba „pavorit'i“. (კალანდია, გ., საგანელიძე ი., ზამბახიძე ი. (2017). *ქსოვილი საქართველოდან*. თბილისი: გამომცემლობა „ფავორიტი“).

k'alandia, g. (2019). *ksovili sakartvelodan (kartvelta tavsaburavi)*. tbilisi: gamomtsemloba "khelovnebis sasakhle". (კალანდია, გ. (2019). *ქსოვილი საქართველოდან (ქართველთა თავსაბურავი)*. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნების სასახლე“).

lichini, p'. a. (2009). *k'rist'oporo k'ast'eli da misi misia sakartveloshi /targmani, shesavali da shenishvn. murman p'ap'ashvilisa inovatsia*. tbilisi : gamomtsemloba „inovatsia“. (ლიჩინი, პ. ა. (2009). *კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში*. თარგმანი, შესავალი და შენიშვნები მურმან პაპაშვილისა. თბილისი : გამომცემლობა „ინოვაცია“).

samushia, j. (2009). imeretis mepeta insigniebi (don k'rist'oporo de k'ast'elis albomis mikhedvit). *II resp'ublik'uri sametsniero k'onperentsia. shromebi*. kutaisi: ak'ak'i ts'eretlis sakhlmits'ipo universit'et'is gamomtsemloba. (სამუშია, ჯ. (2009). იმერეთის მეფეთა ინსიგნიები (დონ კრისტოფორო დე კასტელის ალბომის მიხედვით). *II რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია. შრომები*. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახლმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა).

saubari k'ast'elis albomis garshemo. giorgi gachechiladze da ak'ak'i bakradze. (1983). „*sabch'ota khelovneba*“ № 8 (საუბარი კასტელის ალბომის გარშემო გიორგი გაჩეჩილაძე და აკაკი ბაქრაძე. (1983). „*საბჭოთა ხელოვნება*“ № 8).

ugrekhelidze, i., kartsidze, n., chubinidze, e. (2019). kartuli t'raditsiuli samosi utsk-hour ts'qaroebshi. *saertashoriso k'onperentsia „arkivmtsodneoba, ts'qarotmtsodneoba - t'endentsiebi da gamots'vevebi*. Tbilisi. (უგრეხელიძე, ი., კარციძე, ნ., ჩუბინიძე, ე. (2019). ქართული ტრადიციული სამოსი უცხოურ წყაროებში. *საერთაშორისო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - ტენდენციები და გამოწვევები“*. თბ.).

Altissimo, C. d. (1541). Portrait of Mihrimah, daughter of Sultan Suleiman I. *Rustem Pasha Mosque, Lord of the Tiles*. Uffizi. Florence.

Berain, J. (1675). Médée dans son char tiré par des dragons (opéra Thésée). *Costume de théâtre pour l'opéra "Thésée"*. Collections Louvre, Paris. Retrieved from <https://collections.louvre.fr/en/ark:/53355/cl020553716>

La piu bella e piu favorita donna del gran Turcho dita la Rossa. *Department Prints and Drawings*. British Museum, London. Retrieved 11 19, 2021, from The British Museum: https://www.britishmuseum.org/collection/object/P_1878-0713-4166

Tamarati, M. (1910). *L'Eglise géorgienne des origines iusqu'à nos jours*. Rome : Imprimerie de la Societe Typographico-Editrice Romaine.

Theatrum. (1661). *Theatrum pontificum imperatorum regum ducum principum etc. pace et bello illustrium*. Retrieved from <https://shakko.wordpress.com/2019/07/12/roxolana/>

Titian. (1560). Cameria. *Cameria, daughter of Suleiman the Magnificent, as Saint Catherine*. The Courtauld Gallery, London. Retrieved 11 19, 2021, from <http://www.artandarchitecture.org.uk/images/gallery/f2d2f159.html>

Ugrekhelidze, I., Kartsidze, N. & Chubinidze, E. (2021). The Study of Georgian Historical Costumes Based on the 16th-Century Ottoman Material Sources. *History, Archaeology, Ethnology*. №5.

Ugrekheldze, I., Kartsidze, N. & Chubinidze, E. (2020). Georgians and Their Manner of Dress in the Resources of XV-XVII Century Italian Authors. *Theoretical & Applied Science*.

Vecellio, C. (1590). *Habiti antichi et moderni di tutto il Mondo di Cesare Vecellio*. Venice: appresso i Sessa.

Tiuteleva, C. M. (2020). Ikonograpia tureckikh shenskikh golovnikh uborov v teatralnikh izobrasheniakh vtoroi polivini XVI- XVIII vekov. *Kultura i iskustvo*. № 5.

М. Тютелева, С. М. (2020). Иконография турецких женских головных уборов в театрализованных изображениях второй половины XVI-XVII веков. *Культура и искусство, № 5.М.*